

კომუნიკაცია

თქვენი პატარა ერთობა სიტყვებითა და მეტყველებით. მან ბევრი ახალი სიტყვა ისწავლა და უკვე ცდილობს ორსიტყვიანი წინადადებებიც თქვას. ის გიყურებთ, როდესაც თქვენ მას ესაუბრებით. ის ამბობს „მოდი“, „მომე“, თითოთ მიანიშნებს იმაზე, რაც სურს. მას უყვარს სიმღერა და ცდილობს იმღეროს თავისი საყვარელი სიმღერა.

წინადადების გაგრძელება

თქვენი პატარა შესაძლოა რაიმე თხოვნას მხოლოდ ერთი სიტყვით ამბობდეს. მაგალითად, ამბობდეს „წყალი“, როდესაც მას უნდა წყალი. მიეხმარეთ, რომ წინადადება უფრო განავრცოს და უთხარით: „წყალი გინდა? თქვი, მე მინდა წყალი.“ შეაქეთ, როდესაც უფრო გრძელ წინადადებას იტყვის.

რა მოხდა დღეს?

როდესაც სახლში დაბრუნდებით, მოაყოლეთ პატარას იმის შესახებ, რაც გარეთ ნახეთ: „აბა მოუყევი ბებოს ცხენი რომ ვნახეთ“. თუ საჭიროა დაეხმარეთ. მიეცით საშუალება, რომ რაც შეიძლება ბევრი ილაპარაკოს.

თამაში „მომეხმარე“

სთხოვეთ დახმარება თქვენს პატარას და მიეცით მარტივი დავალება: „მიუტანე მამას ეს წიგნი,“ „შეგიძლია ფეხსაცმელი მომიტანო?“ დასაწყისში შეიძლება დაეხმაროთ თითოთ მინიშნებით. აუცილებლად უთხარით მადლობა, როცა დაგეხმარებათ.

ცხოველების ხმები

ასწავლეთ თქვენს ბავშვს ცხოველების ხმები. წაუკითხეთ წიგნები პატარა ცხოველების შესახებ, ეთამაშეთ, ვითომ თქვენ რომელიმე ცხოველი ხართ და თქვენი პატარა კი იმ ცხოველის შვილი. დაუმახეთ ერთმანეთს ამ ცხოველის ხმით. ეს თამაში ძალიან სახალისოა.

კითხვა, კითხვა და კითხვა

დღის მანძილზე გამოძებნეთ დრო წასაკითხად. თითოთ აჩვენეთ სურათი და მისი აღმნიშვნელი სიტყვა. ამით თქვენი პატარა ისწავლის, თუ რას ნიშნავს სიტყვები. მაღაზიაში დაანახეთ რომელიმე პროდუქტი და წაუკითხეთ მასზე არსებული წარწერა. რესტორანში „წაკითხეთ“ მენიუ. სახლში ასწავლეთ ჟურნალების კითხვა სურათების თვალყურების სახით და ესაუბრეთ ამ სურათების შესახებ.

განძის ყუთი

გააკეთეთ განძის ყუთი, რომელშიც ჩაალაგებთ უასფრთხო, ყოველდღიურ ნივთებს: პლასტმასის ჭიქას, რბილ წინდას, პატარა ბურთს, სავარცხელს, პატარა ფეხსაცმელს. როდესაც თქვენი ბავშვი ყუთიდან რაიმე ნივთს ამოიღებს, გააკეთეთ კომენტარი: „შენ ლურჯი წინდა იპოვე.“ ხშირად გამოცვალეთ ნივთები ყუთში.

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.

მსხვილი მოტორიკა

თქვენი პატარა უკვე ცდილობს, ირბინოს. მას უყვარს დიდი ნივთების და სათამაშოების ტარება, დიდ ყუთებზე მიწოლა და გასრიალება. ის სწავლობს ერთი ხელის თქვენზე მოკიდებით კიბეზე ასვლას და ახერხებს კიბეზე ჩამოსვლას. ის სწავლობს სკამზე აცოცებას მისთვის საინტერესო ნივთის დასაწახად ან ასაღებად. ამ პერიოდში თქვენი ყურადღება განსაკუთრებით აუცილებელია.

ქანაობა

წაიყვანეთ სათამაშო მოედანზე და აქანავით. დარწმუნდით რომ საქანელა უსაფრთხოა და ღვედიც აქვს. ასწავლეთ პატარას ფეხების გაშლა წინ გაქანების დროს. მსუბუქად გააქანეთ, რომ მას მოჰიდეება არ გაუჭირდეს. ქანაობის რიტმში წაილიღინეთ: „ზემოთ გაქანდა და ისევ ზემოთ გაქანდა!“

კიბეებზე აძრომა

ერთი ხელი მოკიდეთ პატარას და ასწავლეთ კიბეზე ასვლა. იყავით მომთმენი, რადგან საფეხურები მისთვის ჯერ კიდევ ძალიან მაღალია. კიბეზე ჩამოსვლა კიდევ უფრო რთული იქნება. თუ სახლში კიბეები არ გაქვთ, შეგიძლიათ სათამაშო მოედანზე გაიყვანოთ და იქ სცადოთ.

წონასწორობა

იატაკზე დააკარით წებოვანი ლენტი ან ცარცით გაავლეთ ხაზი ეზოში. აჩვენეთ თქვენს პატარას, როგორ უნდა სწორ ხაზზე გავლა ერთი ფეხის მეორის წინ დადგმით. წაახალისეთ და უთხარით: “შენ სწავლობ წონასწორობის დაცვას“.

დაჭერობანა

თქვენი პატარა სირბილს იწყებს. ბალახიან ეზოში ან უსაფრთხო სათამაშო მოედანზე ეთამაშეთ მას დაჭერობანა. ბავშვების უმრავლესობას მოსწონს, როდესაც ამ თამაშის დროს იჭერენ და გულში იკრავენ. თქვენს პატარას მოეწონება ამ თამაშის ხშირად გამეორება. ეს კარგი ვარჯიშია!

ურიკის ტარება

მიეცით ბავშვს ზონრიანი რაიმე ყუთი ან ურიკა, რომლითაც სათამაშოებს ატარებს ოთახში. სცადეთ, იქნებ დათუნია გაასეირნოს ამ ურიკით.

მუსიკის დაკვრა

პატარას მოსწონს მუსიკის დაკვრა და აყოლა. გაუკეთეთ დიდი რაიმე ჭურჭლისგან და მიეცით ხის ჯოხები ან ხის კოვზები. თქვენც ჩაერთეთ დაკვრაში. რიგ-რიგობით დაუკარით და იცეკვით, სცადეთ სხვადასხვა რიტმები.

ფეხბურთი

აიღეთ საშუალო ზომის ბურთი და აჩვენეთ ბავშვს, როგორ უნდა ფეხით დარტყმა. თქვენ შეგიძლიათ ბურთი გაზეთების გროვისგანაც გააკეთოთ. დააკვირდით, რამდენად შორს შესძლებს ბურთის გადაგდებას. დაარტყით ფეხი ბურთს და გაეკიდეთ.

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.

ნატიფი მოტორიკა

თქვენი ბავშვი ხელებს და თითებს სულ უფრო მოხერხებულად იყენებს. ის სათამაშოებით უკვე მრავალნაირად თამაშობს, ერთმანეთზე აწყობს, ჯიბეში იდებს, მიათრევს ან აწვება. უვითარდება ახალი უნარ-ჩვევები, უკეთ უჭირავს ფერადი ფანქრები და მარკერები. იცის, როგორ დამალოს მარტივი ფაზლები და ცდილობს ააწყოს ისინი.

დაქუცმაცება	ორივემ დაიბანეთ ხელები და თქვენს პატარას აჩვენეთ, თუ როგორ უნდა სალათის ფურცლების ან ისპანახის ფოთლების ხელით დაქუცმაცება და თასში ჩაყრა. მიეხმარეთ, რომ იოლად შესაჭმელ პატარა ნაწილებად დაანაწევროს. არ დაგავიწყდეთ, რომ ოჯახის წევრებს უთხრათ, თუ ვინ მოამზადა სალათი. შესაძლოა მოეწონოს ძველი ჟურნალების და გაზეთების დახევა.
დამიზნება და სროლა	აჩვენეთ თქვენს პატარას, თუ როგორ უნდა სხვადასხვა ნივთების, სარეცხის სამაგრის, ძაფის კოჭის, უმი მაკარონის რაიმე ყუთში ჩაგდება. ითამაშეთ ეს თამაში იმდენ ხანს, სანამ თქვენს პატარას არ მოზეზრდება. მიეცით საშუალება, ყუთი შეანჯღრიოს და გაერთოს ყუთის ხმით.
კოშკის აწყობა	მიეცით თქვენს პატარას ხის კუბები და აჩვენეთ, როგორ უნდა დააღაგოს ისინი ერთმანეთზე. ააშენეთ კოშკი. აშენების დროს ეს კუბები ხმამაღლა დაითვალებთ. მას მოეწონება ამ კოშკის დანგრევა.
საჭმლის მძივი	თქვენ ბავშვს მიეცით ბურღულის ბურთულები და რაიმე ზონარი, რომელიც ადვილად იკვრება. აჩვენეთ, როგორ უნდა მძივის აწყობა და შემდეგ ჩამოკიდეთ ეს საჭმელი მძივი ყელზე ან მოაკბეჩინეთ.
ხელსახოცები	ავარჯიშეთ თქვენი პატარა წერასა და ხატვაში. გამოიყენეთ მისი ნახატები ხელსახოცებად, რომ ოჯახის წევრებმაც ნახონ ისინი. ის ამით ძალიან იამაყებს!
საუზმის მომზადება	ჩართეთ თქვენი პატარა საუზმის მომზადების პროცესში. მას შეუძლია თავი მოხადოს ხრახნიან ქილას, რომელსაც წინასწარ ოდნავ მოუშვებთ. შეუძლია პლასტმასის დანით პურზე კარაქი გადაუსვას. ის მოგეხმარებათ ჭამაშიც. რა გემრიელია!

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.

პრობლემის გადაჭრა

თქვენი პატარა მოსწავლე უკვე ცნობს ცხოველებს და ოჯახის წევრებს ნახატზე ან სურათზე. მას სიამოვნებას თქვენთან ერთად ხატვა და ძერწვა. ის ცნობს ერთნაირ ნივთებს და ხვდება, რითი ჰგვანან ისინი ერთმანეთს. მას ძალიან აინტერესებს თუ როგორია სხვადასხვა ნივთი ან საგანი.

მიბაძვა

დიდ ფურცელზე დახატეთ ან დაჯღაპნეთ რაიმე რიგ-რიგობით. ჯერ თქვენ დაჯღაპნეთ და მერე მას დააჯღაპნინეთ. გაავლეთ ხაზი, შემდეგ პატარას გაავლებინეთ ხაზი. ახლა თვითონ დაჯღაპნოს რამე და თქვენ გაიმეორეთ.

ნაწილების მორგება

ათამაშეთ პაზლებით ან ისეთი სათამაშოებით, რომლის ნაწილებიც ერთმანეთში უნდა ჩაისვას. გამოიყენეთ სიტყვა მოერგო: „ფაზლის ეს ნაწილები მოერგო“.

იარაღებით თამაში

ათამაშეთ ისეთი თამაში ან დაავალეთ ისეთი რამ, რის გაკეთებასაც სამეურნეო ინსტრუმენტის ან სხვა საგნის გამოყენება სჭირდება. მაგალითად, ღრუბლით სკამის გადაწმენდა, ნიჩაბით სილაში თამაში, აბაზანაში ჩამჩის წყლით ავსება. სწორად დაასახელეთ თითოეული. გაგიკვირდებათ, ის იმდენად ადვილად დაიმახსოვრებს.

წინდების დაწყვილება

როდესაც სარეცხს კეცავთ, ცალკე გადმოალაგეთ წინდები და მიეცით პატარას, რომ დააწყვილოს. თუ დახმარება სჭირდება, აჩვენეთ როგორ უნდა ამის გაკეთება. ასევე, ჰკითხეთ: „ვისია ეს დიდი ლურჯი წინდები?“ და „სად არის ასეთივე მეორე?“ .

ბუნებაში გასეირნება

გასეირნეთ სახლთან ახლოს, შეაგროვეთ ქვები ან ფოთლები და ჩაყარეთ რაიმე სათავსოში. სახლში დაბრუნების შემდეგ შეეცადეთ დაახარისხოთ რაიმე ნიშნით, მაგალითად: დიდი და პატარა ქვების ცალ-ცალკე დააწყით ან თეთრი და შავი ქვები - ცალ-ცალკე. ბავშვი ასე საგნების დაჯგუფებას ისწავლის.

სურათების დაწყვილება

ამოჭერთ სათამაშოების, პროდუქტების და სხვა ნაცნობი ნივთების სურათები და დააწებეთ ბარათზე. შეეცადეთ თქვენმა ბავშვმა ბარათები მიუსადაგოს სახლში არსებულ ნივთებს. აჩვენეთ პატარას კბილის ჯაგრისის სურათი და ჰკითხეთ: „სად არის ამის მსგავსი კბილის ჯაგრისი?“ აჩვენეთ სკამის სურათი და ჰკითხეთ: „შეგიძლია მოძებნო ასეთი სად არის?“

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.

პიროვნულ-სოციალური

თქვენი პატარა დღითი-დღე უფრო დამოუკიდებელი ხდება. ის ეჭვიანობს, როდესაც სხვას უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ და ამას განსაკუთრებით გამოხატავს საკუთარი და-მმის მიმართ. ის დიდ ინტერესს იჩენს სხვა ბავშვების მიმართ. მას უყვარს, როცა რაიმეს დამოუკიდებლად აკეთებს. მოსწონს უფროსობა და წინამძღოლის გაწევა. უპასუხეთ იუმორით, რაც მომდევნო რამდენიმე თვის განმავლობაშიც ძალიან დაგეხმარებათ.

ჭამის დრო მნიშვნელოვანია

როდესაც ოჯახი საჭმელს მიირთმევთ, თქვენი პატარაც დასვით მაგიდასთან და დაუდეთ თავისი ჭურჭელი. შესაძლოა სკამის ამაღლება დაგჭირდეთ. წახალისეთ, რომ ჭამოს თავისი ჭურჭლიდან. დაუდგით წყლის პლასტმასის ჭიქა, რომ იქიდან დალიოს (ბოლომდე არ გაუვსოთ). უთხარით, რომ ის უკვე დიდია.

ოჯახური ცეკვა

აჩვენეთ თქვენს პატარას, როგორ უნდა ცეკვა. დაუკარით მუსიკა, აიყვანეთ ხელში და აიყოლიეთ ცეკვაში. შეგიძლიათ ოჯახის სხვა წევრებიც ჩართოთ. შეაქეთ თქვენი პატარა და გულში ჩაიკარით.

კითხვის დრო

კარგია თუ ძილის წინ ზღაპრის წაკითხვის რუტინას დააწესებთ. ჩააწვინეთ საწოლში და მიუწეკით საყვარელ წიგნთან ერთად. უმჯობესია თუ ტელევიზორი გამორთული იქნება. თქვენი პატარა კარგად გაიგებს სიტყვებს და ინტონაციას. შეიძლება ოჯახის სხვა წევრმაც წაუკითხოთ.

კომფორტი

თქვენი პატარა ხშირად არის გაღიზიანებული და სჭირდება დამშვიდება. მას უჭირს საკუთარ გრძნობებში გარკვევა. დაეხმარეთ, განუმარტეთ გრძნობები სიტყვებით: „შენ მოიწყინე, რადგან დედა მიდის? მე მალე დავბრუნდები“ ან „ამ წინდის ჩაცმა იმდენად რთულია, რომ შენ დაიძაბე“. მას სჭირდება თქვენი თბილი ხმა, ჩახუტება და დამშვიდება.

დამხმარე ხელი

თქვენს პატარას თქვენთვის დახმარების გაწევა შეუძლია. მას შეუძლია გადაწმინდოს მაგიდა, ჩაალაგოს სათამაშოები კალათაში. მას სიამოვნებს, როდესაც გეხმარებათ. აგრძნობინეთ, რომ თქვენ მის დახმარებას ამჩნევთ: „როგორ კარგად მეხმარები!“

ძილისწინა კოცნა

როდესაც თქვენს პატარას დასაძინებლად დააწვენთ, უსურვეთ ძილი ნებისა, მსუბუქად შეუღლიტინეთ სხეულის სხვადასვა ნაწილზე და აკოცეთ: „ღამე მშვიდობისა პატარა ცხვირო (მოუღლიტინეთ ცხვირზე კოცნით), ღამე მშვიდობისა პატარა ფეხო (მოუღლიტინეთ ფეხზე კოცნით), ღამე მშვიდობისა პატარა ყურო (მოუღლიტინეთ ყურზე კოცნით). ჰკითხეთ, სხეულის რომელ ნაწილს უნდა შეღლიტინება და ძილისწინა კოცნა.

დათუნის დაძინება

ჩაუწვინეთ თქვენს ბავშვს დათუნია ან რაიმე სხვა რბილი სათამაშო დასაძინებლად ლოგინში. ასწავლეთ, რომ გამოუხეხოს კბილები, წაუკითხოთ ზღაპრები, გაახვიოს საბანში და აკოცოს ძილის წინ.

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.